

არილაზო ჯგუფის შემცველი ბის-სპიროპირანები ინდოლო[4,5-e]ინდოლის

საფუძველზე


გოგა ხუბაშვილი

ელ-ფოსტა: goga.khubashvili613@ens.tsu.edu.ge

ქიმიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის ქუჩა 3, 0179 თბილისი, საქართველო

სპიროპირანები ორგანული ფოტოქრომების ყველაზე მნიშვნელოვანი კლასია, რომლებიც უკანასკნელ წლებში მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებენ. სპიროპირანების ფოტოქრომულ თვისებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა ჩანაცვლებული ჯგუფები მოლეკულის ქრომენული ფრაგმენტის გეტარინულ ნაწილში.

ორგანული ქიმიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მდგრადი და ადვილად მართვადი ფოტოქრომული სისტემების შექმნა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი პერსპექტიული მასალების მისაღებად. კვლევის მიზანი იყო მიგველო სპიროქრომენი, რომლის მოლეკულა შეიცავდა დამატებით ქრომოფორულ ჯგუფს, რომელსაც უნდა გამოეწვია შეუღლებების ჯაჭვის დაგრძელება და შესაძლებლობას შექმნიდა ფოტოქრომული თვისებების გაუმჯობესებისათვის. კვლევის ობიექტად ჩვენს მიერ არჩეულ იქნა კათედრაზე ადრე სინთეზირებული ფიშერის ფუძის ბის-ანალოგი - დიმეთილენინდოლინო[4,5-e]ინდოლინი, რომლის საფუძველზე ცნობილი მეთოდით, ფენილაზო სალიცილის ალდეჰიდებითან კონდენსაციით განხორციელებულ იქნა ახალი ბის-სპიროქრომენების სინთეზი.



ლიტერატურა:

- (1)Sh.A.Samsoniya, M.V.Trapaidze, N.N. Nikoleishvili, K.G.Japaridze, J.P.Maisuradze, and U. Kazmaier. *Chemistry of Heterocyclic Compounds*, (2010), Vol. 46, No. 8, p. 1016-1019.
- (2)Sh.A.Samsoniya, M.V.Trapaidze, N.N. Nikoleishvili, K.G.Japaridze, J.P.Maisuradze, and U. Kazmaier. *Chemistry of Heterocyclic Compounds*, (2010), Vol. 46, No. 8, p. 1020-1022.
- (3)Marina Trapaidze, Nino Nikoleishvili, Natia Karchava, Shota Samsoniya.

Third Scientific Conference "Natural and Synthetic Biologically Active Substances - 2016", 24-25 October, Georgian National Academy of Sciences, Tbilisi, (2016)